საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 29 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი —ფასი 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ფასს ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერისთვის ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 22 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 22

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: გიგო და ტასია, ძმები: ლევან, ისიდორე, სერაფიონ, ილარიონ, და შუშანიკა, ბიძა ივლიანე, ბიცოლა ფოსინე, ბიძაშვილები: რომანი, ონიფანტე, ნინა, ალიოშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ ამხანაგებს, რომ ქ. ყვირილაში ამა წლის 25 ში გარდაიცვალა დაუვიწყარი

**კალენიკე გიგოს ძე თოდრია**

მიცვალებული წასვენდება ყვირილიდან 27 იანვარს, დასაფლავება 30 იანვარს სოფ. ერკეთში. (2—2).

ღრმად დამწუხრებულნი: შვილები ლუკა ბრეგვაძე, თამარა ჯაფარიძე, ნინა კლიმიაშვილი, ბაბო ჩხაიძე, ძმა ეფრემ, დედა ეფენია, რძალი ბაბლე, სიძე ვანიკო ჯაფარიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ 27 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

**იაკობ გრიგორის ძე ბრეგვაძე**

პანაშვიდი გადახდილ იქნება ყოველ დღე სღამოს 6 საათზე თავის ბინაზე. პრიუტის ქუჩა, № 25. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 30 იანვარს, 10 საათზე კალოუბანის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს კუკიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი მარიამ, ნინო და გიორგი ნაზუქიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს, 25-ს იანვარს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, პირველის დანიშნული, მეორეთა კი სიძე.

**ალექსანდრე ზურაბის ძე გაბრიჩიძე.**

დასაფლავების დღე ცალკე იქნება აღნიშნული.

## საქართველოს მოქალაქეთა მიმართ

საქართველოს ნორჩმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობათ მიიღო ცარიელი ხაზინა და საშინელი ფინანსიური მდგომარეობა.

ამავე დროს იმ მრავალ არაჩვეულებრივ ხარჯების გარდა, რომელიც დაგვჭირდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობად რესპუბლიკაში, ჩვენ გადასახადიდ დაგვაწვა რუსეთის ფრონტისა და დაწესებულებათა ლიკვიდაციით გამოწვეული აუარებელი ხარჯიც.

ანარქიასთან ბრძოლა კი დიდხანს გვიშლიდა ხელს ისე მაგრად შევსდგომოდით გადასახადების მოკრეფას, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი და თუმცა ამ უკანასკნელ დროს შემოსავალმა იმატა, ჩვეულებრივი გადასახადები მაინც ვერ დაფარავენ ყველა არაჩვეულებრივ ხარჯებს.

შემუშავებულია და პარლამენტის მიერ მიღებული მთელი რიგი კანონ-პროექტებისა სახელმწიფოს შემოსავალის გასაძლიერებლად, მაგრამ ყველა ამ კანონების ცხოვრებაში გატარება საკმაო დროს მოითხოვს.

სახელმწიფოს საჭიროებანი კი დაუყოვნებლივ მოითხოვენ დაკმაყოფილებას. სხვა არაჩვეულებრივ მოთხოვნილებათ რომ თავი გავანებოთ, ადვილი წარმოსადგენია, რა ფული დაუჯდება რესპუბლიკას ლიკვიდაცია ომით გამოწვეულ ხარჯებისა.

ამიტომ, საჭიროა დროებით, სანამ გადასახადები შემოვიდოდეს, სესხის საშუალებით ხაზინის გამაგრება, ხოლო აქაც ჩვენ საკუთარ თავის, სამშობლოს ერთგულ მოქალაქეთა იმედი უნდა გვქონდეს.

ამ განზრახვით დაადგინა პარლამენტმა სახაზინო ვალდებულებათა გამოცემა. არ არის ქვეყანაზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც არაჩვეულებრივ ხარჯების დასაფარავად, სესხს არ მიმართავდეს. აღნიშნული სესხი კი თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის პირველი სესხია.

მოქალაქენო, თქვენ უკვე იცით, რარიგ შეღავათიან პირობებშია ეგ სესხი, ეგ სახაზინო ვალდებულებანი გამოცემული.

იგი მოკლე ვადიანია, სახელდობრ, ერთი წლის შემდეგ იქნება გადახდილი.

იგი სარგებელს იძლევა 5% და ეს სარგებელიც წინ და წინ ეძლევა ვალდებულების მიმცემს არჩეულ სახაზინო გადასახადის გამოუკლებლად.

იგი მიიღება მთავრობის მიერ, როგორც საწინდრად, ისე სხვადასხვა გადასახადებში ნაღდი ფულის მაგიერ.

ერთი სიტყვით, ვალდებულებანი თავის ღირსებით თითქმის არაფრით განირჩევიან ნაღდი ფულისგან.

და თუ ასეთი შეღავათიანი პირობები დაუდევით საქართველოს რესპუბლიკის პირველ სესხს საფუძვლად, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოქალაქენი ხელს შეუწყობენ სესხის დაუყოვნებლივ განაღდებას.

საზოგადოების ყოველი კლასი ვალდებულია ამ დიად დროს, როცა მკვიდრდება საფუძველი ჩვენი სახელმწიფოებრივობის, ნივთიერ დახმარებით ხელი შეუწყოს თავის მთავრობას.

ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი, ხალხის ნამდვილნი შვილნი სიცოცხლეს სწირავდნენ და სწირავენ საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობას; ისტორია ავად მოიხსენიებს იმათ, ვისაც შეეძლო და ნივთიერი მსხვერპლიც კი არ გაიღო ამავე დიად დანიშნულებისათვის.

ახლა შემთხვევა ეძლევა შეძლებულ პირებს, დაამტკიცონ თავისი მამულისადმი სიყვარული და ერთგულება.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახაზინო ვალდებულებათ საზოგადოების ფართე წრეებიც შეიძენენ, რადგან ეს ვალდებულებანი ყველასათვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომია.

ქალაქის და ერობის თვითმართველობანი, კოოპერატივები, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოვალენი არიან ზნეობრივად ხელი შეუწყონ ამ სესხის სავსებით განაღდებას.

სესხის სავსებით განაღდება ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ საქართველო ნდობით ეპყრობა მის დემოკრატიულ მთავრობას და მაჩვენებელი იქნება ჩვენი ფინანსიურ მდგომარეობის განმტკიცებისა.

მოქალაქენო, ამ სესხის განაღდება თქვენგან არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს, დაამტკიცეთ მამულის სიყვარული საქმით, დაუმტკიცეთ ქვეყანას თქვენი სამშობლოსადმი ერთგულება.

ნუ დარჩება ნურცერთი მოქალაქე, რომ ვალდებულება არ შეიძინოს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

(10—8) დღედანთან სწორია. საქმის მწარმოებელი გ. აბაშიძე.

## საერო კრების არჩევნები გერმანიაში

არჩევნები გერმანიის საერო კრებაში დამთავრდა. შედეგი არჩევნებისა მეტად საგულისხმოა, განსაკუთრებით თუ შევადარებთ რუსეთის არჩევნებს 1917 წელში.

რუსეთში არჩევნები ერთიანათ მემარცხენე პარტიების სასარგებლოთ დათავდა. დიდი უმრავლესობა გაჰყვა ესერების პარტიას, უმცირესობა ბოლშევიკებს და მემარცხენე ესერებს. დანარჩენი პარტიები სულ უმნიშვნელო იყვნენ. ბურჟუაზია არ ჩანდა და ამან დაბადა ილიუზია სოციალიზმის შესაძლებლობის, ამან გააქანა შეუგნებელი ბრბო ბოლშევიზმის სამეფოსაკენ. სანამ არჩევნები დამთავრდებოდა, მასსა ესერებიდან უკვე ბოლშევიზმის სამეფოში გადაბარგდა და „სოციალიზმის" დაუყონებლივ განხორციელებას შეუდგა.

სულ სხვას ვხედავთ გერმანიაში. იქ არჩევნებმა უმთავრესად მხოლოდ გაასწორა ის წინააღმდეგობანი, რომელიც წინანდელ საარჩევნო სისტემას ჰქონდა. მემარცხენეთა პარტიებს მიანიჭა იმდენი ხმა, რამდენი ძალაც მათ წინეთ მოეპოვებოდა. ბურჟუაზიულმა და რეაქციონურმა პარტიებმაც თითქმის შეინარჩუნეს ის გავლენა, რომელიც წინეთ მოეპოვებოდათ: წინასწარი გამოანგარიშებით სოც.-დემ. უმრავლესობას გაუყვანია 164 დეპუტატი, დამოუკიდებელ სოც.-დემ. 24, გერმანიის დამოუკ. პარტიას 77, ქრისტიან სახალხო პარტიას 38, გერმანიის სახალხო პარტიას 34, დემოკრატ გლეხებს 5, გლეხთა კავშირს 2, მუშათა კავშირს 4. მართალია ამ გზით შეიძლება შედგეს დემოკრატიული უმრავლესობა, მაგრამ არა სოციალისტური უმრავლესობა და ეს იმ ქვეყანაში, სადაც დაქირავებულ მუშათა რიცხვი 70 პროც. უდრის, სადაც ამ ჟამათ უდიდესი რევოლიუციური მოძრაობა სწარმოებს.

განსხვავება რუსეთის და გერმანიის რევოლიუციის ამ არჩევნებში ნათლათ სჩანს. რუსეთში ირჩეოდა სტიქია, წუთიერი სულიერი განწყობილება, დროებით გატაცება, გერმანიაში, ცხადია, ადგილი ჰქონია უფრო შეგნებულ და გონიერ მოქმედებას.

რუსეთში ირჩევდნენ, რომ ხვალ არჩეულისთვის ზურგი შეექციათ, გერმანიაში ირჩევენ, რომ ხვალ მას გვერდში ამოუდგნენ.

რუსეთის არჩევნები ქანაობდა, გერმანიის არჩევნები მწყობრათ მიმდინარეობს, რასაკვირველია შედარებით. ეჭვი არაა სპარტაკელების უცნაურმა გამოსვლამ, რუსული ბოლშევიზმის ნაზხეფებმა, დიდი ზიანი მოუტანეს სოც.-დემ. მემარცხენე ფრთას და მისი გავლენა დაასუსტეს რამდენიმეთ სოციალისტური ნაწილი. მაგრამ არსებითად ამ რყევას ისეთი ქანაობა არ ეტყობა, როგორც რუსეთს.

გერმანიის რევოლიუცია, სჩანს, უფრო ნაკლებ ემორჩილება სტიქიას და მასში მეტია ელემენტი შეკავშირებისა, მეტია ნიშანი პოლიტიკური მომწიფებისა.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ რუსეთმა ერთბაშათ სოციალისტებით აავსო დამფუძნებელი კრება და ბოლოს მთლათაც დაამხო იგი. სტიქიის ბუნება ასეთია. იგი უკიდურესობას მიჰყვება და უფსკრულში იჩეხება.

მაგრამ არც ის გვიკვირს, რომ გერმანიის მომქმედი პარტიები ანგარიშს უწევენ ნამდვილ ძალთა განწყობილებას, რეალურ შესაძლებლობას და საოცნებო ექსპერიმენტებზე ხელს იღებენ.

ამ მხრივ დამფუძნებელი კრება გერმანიის, ანუ საერო კრება, ჩვენ დარწმუნებული ვართ ძირითადათ განსხვავდება რუსეთის დამფუძ. კრებისაგან და იგი ამ უკანასკნელის ბედს არ გაიზიარებს.

მართალია, რევოლიუცია გერმანიაში არ დამთავრებულა, ჯერ იგი არც კი გაშლილა სავსებით. ყველა მასში ჩამარხული წინააღმდეგობანი ჯერ არც კი გამოუაშკარავებია, მაგრამ მისი ძირითადი თვისებები უკვე სჩანს აქედანვე. იგი შედარებით უფრო მტკიცე ნაბიჯით და წინდახედულობით მიდის წინ, გამარჯვებისაკენ. სპარტაკელების დამარცხება—ესე იგი ანარქიულ ელემენტების განცალკევება და ჩაქრობა ერთი მხრით და არჩევნების შედეგები მეორე მხრით—აშკარათ მოწმობენ იმას, რომ გერმანია არ აპირებს დაუყოვნებლივ, თვალდახუჭული გადაეშვას გაურკვეველ მომავლის უძირო მორევში.

იგი მიისწრაფის დიადი სოციალური გარდაქმნისაკენ, მაგრამ სრულ ანგარიშს აძლევს თავის მოქმედებაში იმ საერთო, შინაურ და გარეშე პირობებს, რომლებშიც უხდება მუშაობა.

გერმანია სწორი გზით მიდის დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ. და ნახტომების გაკეთებას არ აპირებს. მართალია, რევოლიუციის სათავეში მოექცნენ არა ორტოდოქსი მარქსისტები, არა ჰააზე-კაუცკის ჯგუფი, არამედ ოპორტუნისტული ფრთა, შეიდემანელებისა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ შეგნება კი არ ქმნის გარემოებას, არამედ გარემოება ქმნის შეგნებას.

და შეიდემანელებიც, რამდენათაც ისინი მუშათა კლასის ინტერესებს ეყრდნობიან, იძულებული გახდებიან მარქსისტული გზით იარონ, მარქსისტული გეგმა გაატარონ, და ესაა მთავარი თავდები იმისა, რომ გერმანიის რევოლიუცია არ გაიზიარებს რუსეთის რევოლიუციის ბედს, არ ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც ლენინის რუსეთია დღეს ჩავარდნილი.

რუსეთის ბოლშევიზმმა გვასწავლა, როგორ არ უნდა წარმოება ბ გაძღოლა რევოლიუციას. გერმანიის მუშათა კლასი გვაჩვენებს, როგორ უნდა მას გაძღოლა და დაბოლოვება, როგორ უნდა გარედან შემორტყმულ იმპერიალისტებისა და შინ დაბუდებული ანარქიული ელემენტების წინააღმდეგ გამკლავება, როგორ უნდა რევოლიუციის ლოზუნგებს განხორციელება.

## საარჩევნო კამპანია

ოთხი გმირი.

საარჩევნო კამპანია დაიწყო და ჩვენი ყოფილი ამხანაგებიც გამოვიდნენ, მაგრამ არა პირდაპირი საშუალებებით, არამედ ნიღაბ აფარებულები. და რომ თავიანთი მახინჯი სახე დაფარონ და საქმის ნამდვილი ვითარება მიაფუჩეჩონ, პირიქით გვედავებიან. მერე იცით ვინ: გრ. აიოლლო და სმირნოვი, რომელნიც ისე კალამს არ აიღებენ ხელში, რომ მეცნიერების სახელით სულთათანა არ უგალობონ ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას, იშკოვი, რომელიც ბოლშევიკურ მოძრაობას რუსულ ეროვნულ მოძრაობათ აცხადებდა და პოპოვი, რომელიც მუდამ აშკარათ ქადაგებდა რუსეთის აღდგენას ჩვენს ხარჯზე. აი ეს ვაჟბატონები დიდის რიხით და გულში ხელის ცემით მიმართავენ „სოციალ-დემოკრატის" ფურცლებიდან ამომრჩევლებს და დემოკრატიას შეჰღაღადებენ—საქართველოს სოციალდემოკრატია განაციონალისტდა და ჩვენ სახმოსნო კანდიდატთა სიიდან ამოგვშალეს, როგორც უცხოეთის მოქალაქენი. რა მოხდა, რაში გამოიხატა ჩვენი ვითომდა განაციონალისტება? დაუგდეთ ყური ამ პატივცემულ კვარტეტს: „საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ახალ სახელმწიფოებრივ ფორმის შექმნის დროს ბაძავდენ ძველ ნიმუშებს. და ამ ნიმუშებიდან შეითვისეს ყველაზე უფრო არა დემოკრატიული, წმინდა ბურჟუაზიულ სულით გაჟღენთილი ნიმუში".

ზევრი რომ არ გავაგრძელოთ კვარტეტს არ მოსწონს ჩვენი ქვეშევრდომობის კანონი. მაგრამ, რატომ არის, რომ არც ერთი ჩვენი რესპუბლიკის მომხრე არ იწუნებს ამ კანონს და მის წინააღმდეგ გამოდიან მხოლოდ ჩვენი მტრები? რატომ არის, რომ ეს პატივცემული კვარტეტი კიდევ უფრო პატივცემულ არშაკ ზურაბოვთან ერთად გამოდის ისეთი დროშით, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული? რატომ?.. მაგრამ განა სმირნოვ-ზურაბოვები შესძლებენ ამაზე პასუხის გაცემას? არც საჭიროა: მათ უკვე მიიღეს ღირსეული პასუხი იმ საარჩევნო კრებებზე, რომელიც მათ მიერ იქნა მოწვეული.

კუმ ფეხი გამოყო...

მიეცით ხმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ე. ი. მეორე ნომერს (№ 2)—ასე იწყებს და ათავებს თავის საარჩევნო აბდაუბდას ბ. ვასილ წერეთელი ქუთათურ „ჩვენ ქვეყანაში". ამოვწეროთ ზოგიერთი ადგილები: „რადგან ამიერ-კავკასიის წარმომადგენლნი ბრესტ ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებას არ დაესწრნენ, სამაჰმადიანო საქართველო რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო. მაშასადამე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე დაუსწრებლობამ ჩაგვითრია ოსმალეთთან ომში".

მაშასადამე, ვინც ბრესტის მოლაპარაკებას დაესწრო, ის გაბედნიერებული იქნება? რატომ არ გაბედნიერდა რუსეთი?

ბ. ვასილი ქვემოთ სხვათა შორის სწერს:

„რაც შეეხება სოციალ დემოკრატებს, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიან" ქვევით ბ. ვასილი უკუღმართებს ჩვენს გვარდიას, რომლის მომხრეობასაც სამართლიანად აბრალებს სოციალ დემოკრატიას და გადადის აგრარულ პოლიტიკაზე: „სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას უნდოდა ჩამორთმეული მიწები სახაზინოდ დაეტოვებია, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნა გამოეცა კანონი ხსენებული მამულების კერძო მესაკუთრეთათვის მიყიდვის შესახებ. მაშასადამე ეს საკითხიც ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის პროგრამის თანახმად გადაწყდა". მაგრამ, ბ. ვასილის თქმით, წინააღმდეგობაც გაგვიწევია ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის პროგრამისათვის: „მამულების ჩამორთმევის წესი მოხდა არა სახელმწიფოებრივი წესით: მთავრობამ მესაკუთრეებს სამაგიერო სასყიდელი არ მიუზღო და მით კერძო საკუთრების პრინციპი შელახა".

ეჭვი არ არის ასეთის ქადაგების შემდეგ ყველა გლეხი და მუშა ეროვნულ დემოკრატიას მისცემენ ხმას!

## პრესა

გაზეთი „ჰარაჩი" წამებულის გვირგვინს იდგამს თავზე. იგი რევოლიუციონერის მანტიაში ეხვევა და გაიძახის: ჩვენ, რევოლიუციონერებს გვდევნიან ქართველი მენშევიკებიო. მრავალგვარ ჭორების მოყვანის შემდეგ, გაზეთი ასეთ სიტყვებს ათავსებს თავის ფურცლებზე (№ 12):

„პირველი არ არის, როცა რესპუბლიკის ოპრიჩნიკები სჯობნიან ძველი რეჟიმის ოხრანკას და ჟანდარმერიას, პირველი არ არის, რომ ადგილობრივი ძალები გამოდიან მოედანზე თავიანთი დემოკრატიული თვითნებობით. შულავერი, დალეთი, გორის ეკლესიების ჩხრეკა, 5 იანვრის ისტორიული დღე თფილისში, ყველა ეს საუკეთესო დამამტკიცებელია ამისი. აქ საყურადღებოა, რომ ახლა იდევნება არა მარტო სომეხი მშრომელი ხალხი, არამედ კერძოთ დაშნაკელი ელემენტი".

ოპრიჩნიკები და ჟანდარმები ყოფილან ისინი, ვინც აჯანყებულ შულავერს, და მოღალატე დალეთს გაუსწორდა იარაღით დამორჩილება. ოპრიჩნიკები ყოფილან ისინი, ვინც ამ მოღალატეთაგან იხსნა თფილისი. ასე სწერს დაშნაკელების გაზეთი „ჰარაჩი" თავის პირით. მაშასადამე, აჯანყებისთვის ჩვენ პასუხი არ უნდა გაგვეცა. აჯანყებულები აბრამის ბატკნები ყოფილან, მაგრამ გვარდიამ და ჯარმა შეაწუხა ისინი. ასეა არა ბ-ნო დაშნაკელებო! მაშ, სჩანს, თქვენ იმ დალეთლების თანამოზიარე ბრძანდებით, მათი ვექილ-დამცველი, რომელნიც აჯანყდნენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, და ამის შემდეგ გაზეთს უკვირს, რომ იმ დაშნაკელებს, რომელთაც დაშნაკური, ე. ი. მოღალატეობის ქადაგება შეაქვთ ხალხში, სახელმწიფო თავიდან იშორებს. ერთში ახლა გამოტყდა „ჰარაჩი": რომ სდევნიან არა სომხებს, არამედ კერძოთ დაშნაკელებს. უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, იმ დაშნაკელებს, რომელთაც ღალატში უდგიათ ფეხი.

მაშ მოღალატეებს თავზე ხელს მოუსვამენ!

ტყუილა ჰგონიათ დაშნაკელებს, რომ მოწამეობის გვირგვინი იხსნის მათ პასუხისმგებლობისგან დემოკრატიის წინაშე. ასეთი აჯანყების მომწყობი, ხალხის აწიოკების და ძმათა სისხლის ღვრის გამომწვევი დასაგმობია პირველ ყოვლისა თვით სომხის დემოკრატიისაგან. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მიუხედავათ ყოველისა, მიუხედავათ თვით ა. ზურაბოვის უპრინციპო ჯგუფის უკეთმართი აგიტაციისა, სომხის მუშათა კლასი შესძლებს გაითვალისწინოს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ აჯანყება დემოკრატიის წინააღმდეგ იარაღით ხელში, არის უდიდესი და უსაშინლესი დანაშაული, რომელიც არავის არ ეპატიება. შეაგნებს, რომ დაშნაკელების მოღალატური პო-

# დღეს

საპასუხო წერილში, რომელიც ჩვენმა საგარეო სამინისტრომ გაუგზავნა ინგლისის სარდლობას სტამბოლში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროზე გადასაცემად, აღნიშნულია ის სიხარული, რომელიც ხალხში გამოიწვია ინგლისის სიმპატიამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისადმი.

---

კავკაში ბალშევიკების მდგომარეობა უნუგეშოა. ქალაქს ერთსა და იმავე დროს ემუქრებიან ინგუშები და მოხალისეთა არმია.

---

ბერლინში ცნობილ რადეკს და სპარტაკელების მეთაურებს დასაჭერად დაეძებენ.

---

სიღნაღში, ჭიათურაში და ოზურგეთში საქალაქო არჩევნებზე გაიმარჯვა სოციალდემოკრატიულმა პარტიამ.

---

თფილისის საქალაქო არჩევნები მოხდება კვირას, 2 თებერვალს. მოქალაქენო, ხმა მიეცით საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის სიას № 1.

---

ლიტიკა გახდა მიზეზი და გამომწვევი 5 იანვრის და ყველა იმ ამბების, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბორჩალოსა და თფილისში.

ამ მიზეზის მოსპობა პირველათ ყოვლისა თვით სომხის დემოკრატიის ხელთაა. თვით „ჰარაჩი" ახლა ხედავს, რომ სომხობას არ ებრძვიან, რომ სომხათ ყოფნა არ ითვლება დანაშაულათ, რომ ეს ჭორი თვით დაშნაკელებმა და მისმა ამყოლებმა შეთხზეს ომიანობის გავარვარებულ ატმოსფერაში, როცა სამართლის გარკვევა ასე ძნელი იყო. მაგრამ ომმა გაიარა და ახლა სომხის დემოკრატიაც დაინახავს, რომ მას ატყუებდნენ, აბრუებდნენ და თავის მოძმეების წინააღმდეგ ამხედრებდნენ დაშნაკელი პროვოკატორები.

ეს გამოფხიზლება იქნება უძლიერესი ლახვარი დაშნაკელებისთვის. ამას გრძნობენ ისინიც და ამიტომ ასე გაფთრებული, ასე გაშმაგებული გვესხმიან თავს, რომ დემოკრატიის ყურადღება გარეთ მიაქციონ და მისი რისხვა თავიდან აიცილონ, მაგრამ უიმედოა მათი ოცნება. თვით ა. ზურაბოვის ვექილობაც ვერ იხსნის მათ გაკოტრებისაგან.

**მოქალაქენო!**

მთელი ამიერ კავკასია ოსმალთა მიერ ძარცვა-აწიოკების მსხვერპლი შეიქნა.

სოციალდემოკრატიამ იხსნა საქართველოს რესპუბლიკა ბარბაროსულ ბრბოთა შემოსევისაგან.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

## გლეხები და სოციალ-დემოკრატიული პარტია

(საუბარი გლეხებთან)

მოქალაქენო—გლეხებო!

მე მინდა ჩემი დღევანდელი საუბარი თქვენთან ძველის ძველი თქმულებით დავიწყო.

კარგათ მოგეხსენებათ, ერთ ერთ მოციქულს თომა ერქვა. მეტ სახელათ მას ურწმუნო თომა დაერქვა.

რატომ დაარქვეს, არ იცით?

აი, რას ამბობს ამის შესახებ ძველი გადმოცემა.

როდესაც მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე მოციქულებს გამოეცხადა, ყველამ ირწმუნა, ხოლო ერთად ერთმა თომამ თავი გააქნია: მართალია, ჩემ საყვარელ მასწავლებელს ჰგავხარ, მაგრამ მაინც ხელები მიჩვენეო.

როდესაც ქრისტემ დალურსმული ხელები უჩვენა, მაშინ კი ირწმუნა თომამ.

ქრისტეს მოციქულები ყველა გლეხები იყვნენ.

აბა რომელი კეისარი ჩაიცვამდა ქალამნებს და გაჰყვებოდა ძმობა-ერთობის მქადაგებელს!

მაგრამ ყველაზე უფრო ნამდვილი გლეხი თომა იყო.

რითი იყო?

განა არ იცით, რითი იყო! იმითი, რომ ცარიელ სიტყვებს ის არ ენდობა,—მას საქმე უნდა. ის საქმით ცნობს, საქმით აფასებს ყველას და არა სიტყვით.

ბევრს არ მოსწონს თომას ასეთი ხასიათი. კიცხავს და გმობს.

მე პირადათ ძალიან მომწონს. კაცი საქმით დაფასდება, საქმე უნდა მაჩვენო, თორემ მარტო ლამაზ ლამაზ სიტყვებს იმდენს გადმოგილაგებენ ზოგიერთი, რომ თვლას ვერ აუხვალთ.

სოფლის გლეხებო! მოშიცია თქვენთვის მთელი ქალაქი თავისი სახლებით, მაღაზიებით და მთელი სიმდიდრით.

განა რას ვიგებ? არაფერს!

მაგრამ თქვენ კი რას იგებთ? თქვენც არაფერს!

ჰო და მე მომწონს თომას ხასიათი და გეუბნებით, რომ თომა თქვენი ღვიძლი ძმა არის. თქვენ შრომის შვილები ხართ, საქმის ხალხი და ამიტომ საქმეს ითხოვთ ყველასაგან, ლიტონ სიტყვას არ ენდობით.

დღეს ისეთი დრო არის, რომ ბევრი მოდის თქვენთან ლამაზი სიტყვებით: მე ვარ, რაცა ვარ, თორემ სხვები—აი სოციალ დემოკრატიაც—თქვენ გატყუებენო.

მე მომეცით კენჭი, მე ამირჩიეთ და ყულამდინ აგამსებთ სიკეთითო.

ამიტომ მე მინდა გადაგიშალოთ თვალწინ სოციალ დემოკრატიის საქმიანობა და მერე სინდისის ქვეშ თქვით: გააკეთა თუ არა ამ პარტიამ თქვენთვის—გლეხებისათვის—დიდი და საშვილიშვილო საქმე.

როდესაც ძველი შენობა დაინგრევა და ახლის შენებას დაიწყებენ, უცოდინარი ადამიანი წინდაწინ ვერც კი მიხვდება, თუ რამდენათ აჯობებს ეს ახალი შენობა ძველს.

ასე ემართება დღეს ჩვენში ბევრს.

ძველი ცხოვრება დაინგრა, მოისპო სამუდამოთ, ახალი შენდება ამ დროს კი გაისმის წუწუნი: ეჰ, ძველი დრო ჯობდა, მიტკალი იაფი იყო, ჩითი იაფი, საპონი იაფი,—სულ იაფი და იაფი!

ის კი ავიწყდებათ, რომ ცახეც იაფი იყო მაშინ, მათრახებიც, მუშტიც!

და ყოველივე ეს იცით, ვისთვის იყო იაფი? თქვენთვის—გლეხებისათვის.

რა მოგიტანათ თქვენ ახალმა დრომ?

განა მარტო სიძვირე?

თქვენ ისეთი რამ მიიღეთ, რომ მშიერმწყურვალი და შიშველ ტიტველიც რომ დადიოდეთ, მაინც სულ უნდა იმღეროდეთ და ქუდს მაღლა ისროდეთ.

ერთი ასეთი განძი არის წოდებათა გაუქმება.

თქვენზედ უკეთ ვინ იცის, რა საშინელი უბედურება იყო გლეხათ დაბადება.

ყველა კისერზე გაჯდათ: აზნაური, თავადი, მღვდელი, ბერი, ბოქაული, მაზრის უფროსი და ბოლოს ხელმწიფე. თავ ქუდ მოგლეჯილი უნდა შეგებებოდეთ ყველას და პირში რომ ეფურთხებიათ: ღირსი არა ვარ თქვენს წყალობასაო, უნდა გეძახათ.

ტყავს გაძრობდათ ყველა და ამავე დროს ათასგვარ დამცირებას და შეურაცყოფას იტანდით.

ყოველივე ეს თქვენ კარგათ იცით ® არა ერთხელ ® ორჯერ უღვრევინებია თქვენთვის ცხელი ცრემლი. დღეს ყოველივე ეს მოისპო, წოდებები აღარ არიან, წოდებები გასწორდნენ. ყველა ტოლია, ყველა მოქალაქეა. გუშინდელი თქვენი ბატონი, რომელიც ხელის ჩამორთმევის ღირსათაც არ გაგხდიდათ, დღეს თქვენი ტოლია, თქვენი სწორი—არც მეტი, არც ნაკლები.

თქვენი პიროვნება, თქვენი ადამიანობა, თქვენი ღირსება მკვდრეთით აღსდგა. ცხოვრებაში, კანონის წინაშე ყოველგვარი უფლებით თქვენ დღეს ყველას გაუსწორდით.

და მე გარწმუნებთ, ყველა ის გაჭირვება, შევიწროება და შეწუხება, რომელიც თან მოჰყვა რევოლიუციას, დროებითია, წარმავალია. მაგრამ წარმავალიც რომ არ იყოს, ყოველივე ეს გროშათ ჩასაგდები არ არის იმასთან შედარებით, რაც თქვენ მოგცათ წოდებათა გათანასწორებამ.

მერე არ იკითხავთ, ვინ აღადგინა თქვენი ღირსება, ვინ გააუქმა წოდებები, ვინ მოგაცილათ თქვენ გლეხის სახელი და დამწერა: დღეიდან გლეხი და თავადი სწორი არიან და მოქალაქეებათ იწოდებიანო?

ვინა და სოციალდემოკრატიამ.

სოციალდემოკრატია იბრძოდა წოდებათა გაუქმებისათვის, სოციალდემოკრატია იბრძოდა გლეხის ღირსების აღდგენისათვის.

სოციალდემოკრატიამ ამ ბრძოლაში გაიმარჯვა და ამით გაიმარჯვა თქვენმა საქმემაც.

მე თქვენ გეკითხებით და სინდისის ქვეშა სთქვით: სოციალდემოკრატია რომ დამარცხებულიყო, ვინ გააუქმებდა წოდებებს?

არავინ.

სოციალდემოკრატია რომ დამარცხებულიყო, ვინ მოგხსნიდათ გლეხის სახელს და ვინ გაგხდიდათ მოქალაქეებათ?

არავინ.

სოციალდემოკრატიას სხვა რამეც რომ არ გაეკეთებია თქვენთვის ამის მეტი, მარტო ესეც ისეთი დიდი და საშვილიშვილო საქმეა, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე ამ პარტიის მზეს უნდა ფიცულობდეთ.

ახლა თქვენ თითონ მითხარით, რა გააკეთა თქვენთვის სოციალდემოკრატიამ ამას გარდა?

არ გაგონდებათ? მაშ მე მოგაგონებთ. ვინ ჩამოართვა მიწები თავად აზნაურობას და მემამულეებს?

სოციალდემოკრატიამ.

ვის აძლევს ამ მიწებს ეს პარტია?

ვისა და გლეხებს.

სოციალდემოკრატიამ დაადგინა: გლეხებს საკუთრებათ მიეცეს თავადებისა და მემამულეების მიწებიო და გაიტანა თავისი, სხვები კი წინააღმდეგი იყვნენ.

მე თქვენ გეკითხებით, სოციალ დემოკრატია რომ დამარცხებულიყო, ვინ ჩამოართმევდა თავად აზნაურობას და მემამულეებს მიწებს?

არავინ.

სოციალდემოკრატია რომ დამარცხებულიყო, ვინ მოგცემდათ მიწებს საკუთრებათ?

არავინ. და არა თუ არ მოგცემდენ, გარწმუნებთ, თქვენსასაც ჩამოგართმევდენ.

როდესაც მეფის მთავრობა იყო, თქვენ არაფერს გეკითხებოდენ და ქვეყნის საქმეებში არ გირევდენ. მამასახლისის არჩევის უფლება გქონდათ მხოლოდ. დღეს თქვენა გაქვთ სრული უფლება აირჩიოთ და ქვეყნის საქმეები ჩააბაროთ იმ პირებს, ვისაც თქვენ ენდობით.

იცით, რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენა ხართ მთელი ჩვენი ქვეყნის პატრონი და მართავთ მას თქვენგანვე არჩეული პირების შემწეობით.

ეს არის უდიდესი უფლება ხალხისა და ეს უფლება მოგცათ თქვენ სოციალდემოკრატიამ. ღმერთი რომ გამწყრალიყო და სოციალდემოკრატია დამარცხებულიყო, ვინ მოგცემდათ თქვენ ამ უფლებას?

არავინ.

თქვენ არ იცით რა მოხდა, როდესაც რუსეთი ბალშევიკებმა დაანგრიეს. ოსმალეთის საზღვრებიდან დაიძრა რუსის ჯარი და ამირებდა ჩვენში შემოსევას.

წარმოდგენილი გაქვთ, რა ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა ჩვენში, ეს თავაშვებული ხალხი რომ ჩვენ შამოესეოდა?

დაიტაცებდენ ყოველისფერს, გააუპატიურებდენ ქალებს, გადასწვავდენ სოფლებს, ამოხოცავდენ ბევრს. აგვაოხრებდენ, გაგვანადგურებდენ და კაცი ადამიანი ჩვენი მშველელი, ჩვენი შემბრალე არ იქნებოდა.

მერე არ იკითხავთ, ვინ აგაცილათ თავიდან ეს საშინელება?

ვინა და სოციალდემოკრატიამ. თქვენ გულდამშვიდებული უვლიდით დღე თქვენს ყანა ვენახს და ღამე ტკბილათ გეძინათ, როდესაც ეს ცოცხალი ქარიშხალი მოისწრაფოდა თქვენს გასანადგურებლათ.

მხოლოდ სოციალდემოკრატიას არ ეძინა და ის დღე და ღამე მუშაობდა, რომ ეს უბედურება აეცდინა თქვენი თავიდან და ჩვენი ქვეყანა გადაერჩინა.

სოციალდემოკრატიამ გაიმარჯვა და რუსეთის გაბალშევიკებული ჯარი ჩვენს დაბა სოფლებში არ შემოუშვა.

ახლა გულახდილათ მითხარით: სოციალდემოკრატიის მარჯვენას რომ არა, დღეს თქვენ იქნებოდით თუ არა მიწასთან გასწორებული?

უეჭველია, იქნებოდით.

მარტო გაბალშევიკებული ჯარიდან არ მოგელოდათ თქვენ დიდი უბედურება.

როდესაც ბალშევიკებმა რუსეთის ჯარი მოწამლეს და ამით მთელი რუსეთი დააქციეს, საშინელი განსაცდელი დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანასაც. ეს იყო ოსმალეთის შემოსევა.

გეფიცებით, ვერ წარმომიდგენია, რა იქნებოდა დღეს ჩვენში, ოსმალეთის შემოსევა რომ დროზე არ შეეჩერებიათ.

დაეკითხეთ ჯავახეთს, გურიის იმ ნაწილს, სადაც ოსმალები შევიდენ, რა დაემართათ მათ?

თავზარდაცემული ხალხი აიყარა და გაიხიზნა, ვინც სად მოასწრო. სოფლები განადგურდენ, საქონელი, სარჩო საბადებელი—ყოველივე ოსმალებმა წაიღეს, ვენახები და ყანები მოუვლელი, დაუთესავი დარჩა. ტყეში შეხიზნული, ცისანაბარა დარჩენილი ხალხი ამოწყდა, განახევრდა.

რა ვიცი, რამდენი რამ უნდა ჩამოგითვალოთ.

ამ გვარი უბედურება მოგელოდათ თქვენ ყველას. გაჩნდებოდენ თუ არა თქვენსკენ ოსმალები, ათასი არა გდომოდათ, შიში აღარ დაგაყენებდათ, მიატოვებდით სახლკარს, აიყრებოდით და მთისა და ტყისაკენ იზამდით პირს.

თქვენს სახლკარს შემოსეული ჯარი ისე გაანადგურებდა, რომ ერთ ფინჩხას აღარაფერს დატოვებდა. ტყეში ცის ქვეშ დარჩენილებს დაგერეოდათ სხვადასხვა სენი და მუსრს გაგავლებდათ.

მართალია, ყოველივე ამას ბოლო მოეღებოდა, ოსმალები წავიდოდნენ უკან და, ვინც ცოცხალი გადარჩებოდით, დაუბრუნდებოდით თქვენ თქვენს კერას, მაგრამ არ იკითხავთ, რას ემგვანებოდა თქვენი ცხოვრება?

სახლში ერთი მარცვალი აღარაფერი დაგიხვდებოდათ, ლაყე კვერცხსაც კი აღარ დაგიტოვებდნენ!

ვთქვათ, ამასაც ასე თუ ისე გაუძლებდით, თუ კი მოსავალს კაი პირი ექნებოდა, მაგრამ მოსავალი საიდგან იქნებოდა?

ოსმალები თქვენს ყანებს არ დათესავდნენ, თქვენს ვენახს არ მოუვლიდნენ!

დაგიხვდებოდათ გამქრალი კერა და დაუთესავი ყანები! სახლში სრულებით არაფერი და წინ მთელი წლის შიმშილი, რადგანაც ოსმალების წასვლის შემდეგ ხვნა და თესვის აღო სრულებით აღარ იყო. ერთი მითხარით, ღვთის გულისათვის, ასეთ საშინელ დროს, როგორ და რანაირათ უნდა გამოგეკვებათ თავი მთელი წლის განმავლობაში? ვინ შეგინახავდათ, ვინ გასმევდათ, ვინ გაჭმევდათ?

დღეს თქვენ სასმელ-საჭმელი არ გაკლიათ. სოფელს დღეს არა შია. სოფელი დღეს მდიდარია პურით, მდიდარია ჭადით, მდიდარია ღვინით. თუ შიგა და შიგ თითო-ოროლას შია, ესეც სოფლის სიგლახეა: ამისთანა დროს თავისი გაჭირვებული თვითონ სოფელმა უნდა გამოკვებოს.

თუ ვისმე აკლია ყოველისფერი, ეს ისევ ჯავახელებს და იმ გურულებს, რომლების სოფლებიც ოსმალებმა დაარბიეს.

და დანარჩენებს ყველას პური და ღვინო უხვათა გაქვთ დღეს.

და როდესაც თქვენი სავსე ბეღელი, სასიმინდე და მარანი თქვენს გულს ახარებს, ერთხელ მაინც ჰკითხეთ თქვენს თავს: ვისი წყალობით არის ყოველივე ეს? სოციალდემოკრატიული პარტიის წყალობით.

ოსმალების შემოსევა რომ დროზე არ შეეჩერებიათ, თქვენს ბეღელსა და სასიმინდეში თაგვიც კი შიმშილით მოკვდებოდა.

მერე ვინ შეაჩერა ოსმალოების შემოსევა? ვინა და სოციალდემოკრატიულმა პარტიამ.

ოსმალოებმა და ბალშევიკებმა ჩვენში ერთად შემოდგეს ფეხი თქვენს გასანადგურებლათ. ჩვენ არა გვყავდა ჯარი და, რაც იყო, ისიც ბალშევიკებმა გადიბირეს ათასი მოტყუებით. თქვენი განადგურება, სრული აოხრება და აწიოკება აუცილებელი იყო, მაგრამ სოციალდემოკრატიულმა პარტიამ თავს იდვა ამისთანა დროს თქვენი გადარჩენა და მოიწვია გერმანია, რომელიც მაშინ გამარჯვებული იყო.

გერმანიის ჯარის ჩვენში შემოსვლამ შეაჩერა ოსმალეთი და გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა.

დღეს თქვენ ბედნიერები ხართ მით, რომ სიცოცხლითა სტკბებით და სავსე ოჯახს შეჰყურებთ.

უნდა მუდამ გახსოვდეთ, რომ ეს ბედნიერება თქვენ მოგანიჭათ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ამას რომ არ ეზრუნა თქვენთვის და თავს არ ედვა თქვენი ხსნა, გერმანელები აქედან შორს იყვნენ და არცა ჰფიქრობდნენ ჩვენში ჩამოსვლას.

თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა ნაწილი იყო დიდი რუსეთისა.

ერთი მითხარით, რა იქნებოდა დღეს ჩვენში, რომ ისევ რუსეთის ნაწილი ვიყოთ?

რა იქნებოდა და ის იქნებოდა, რაც რუსეთშია.

თქვენ ალბათ არ იცით და არც გაგიგონიათ, რა ამბებია დღეს რუსეთში. მე კიდეც გამიგონია და კიდეც ვიცი. რუსეთში დღეს ცხოვრება კი არ არის, ნამდვილი ჯოჯოხეთია. ცარცვა-გლეჯა, ხოცვა-ჟლეტა—აი რა ამბებია დღეს მთელს რუსეთში. ყაჩაღებს, მტაცებლებს, დამრბევებს, ქურდებს და ყველა თავზე ხელაღებულებს დარჩათ იქ ბურთი და მოედანი და, რაც უნდათ, იმასა სჩადიან. დღეს რუსეთში არსად არ არსებობს მშვიდობიანი, გულდამშვიდებული ცხოვრება. გარეთ რომ გამოვლენ, არ იციან, ცოცხალი დაბრუნდებიან თუ არა.

თქვენ რომ დღეს რუსეთის ნაწილი იყოთ, აი ამისთანა გატანჯული, ჯოჯოხეთური ცხოვრება გექნებათ.

რუსის ბალშევიკებისა და გაბალშევიკებული სალდათების ხელში იქნებოდა დღეს თქვენი სიცოცხლე, თქვენი ბედ-იღბალი და იმათ, თუ თავისიანები არ დაზოგეს, განა თქვენ დაგზოგავდენ?

იმათ თუ თავისიანები არ დაინდეს, განა თქვენ დაგინდობდენ?

ახლა მითხარით, ვინ აგაცილათ თავიდან ასეთი საარაკო უბედურება?

ვინა და სოციალდემოკრატიულმა პარტიამ.

ამ პარტიამ დროზე დაინახა, რომ გაბალშევიკებულ რუსეთთან ერთათ ყოფნა ჩვენს ხალხს დაჰღუპავდა, და ამიტომ დაადგინა გამოყოფა და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა.

წარსული საქმეა და თქვენ შორისაც ხომ გაიძახოდა მაშინ ბევრი: უჰ, როგორ შეიძლება რუსეთისაგან გამოყოფა, დავიღუპებითო.

ის კი არ იცოდით, რომ რუსეთი იღუპებოდა და დაიღუპა კიდეც; თქვენც დაგღუპავდათ, რომ სოციალდემოკრატიული პარტია არ ყოფილიყო თქვენი ცხოვრების, თქვენი სიცოცხლისა და თქვენი კეთილდღეობის ფხიზელი დაჭმთავეგამეტებული დარაჯი, როდესაც სოციალდემოკრატიამ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა ჩვენი ხალხის გადასარჩენათ, ჩვენშიაც თავი წამოჰყვეს სხვადასხვა ერის ბალშევიკებმა და ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეში აჯანყება მოაწყვეს. მართალი ვუთხრათ ერთმანეთს: ზოგიერთი თქვენგანიც კი გააბრიყვეს და აიყოლიეს.

რომ გამწყრალიყო ღმერთი და მართლა მათ გაემარჯვათ, რა მოგელოდათ თქვენ?

თქვენს ქონებას, თქვენს საცხოვრებელს აბაზაკები და ყაჩაღები დაეპატრონებოდენ ისე, როგორც დაეპატრონენ ისინი რამოდენიმე დღეს ლეჩხუმსა და სამეგრელოში. გაგცარცვამდენ, ქალებს გაგიუპატიურებდენ და, თუ ხმას ამოიღებდით, სიცოცხლეს გამოგასალმებდენ.

მერე ვინ გიხსნათ ამ ყაჩაღთა ბრბოებისაგან?

ვინა და სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, იმისმა მთავრობამ, იმისმა ჯარმა და მისმა გვარდიამ.

ჩვენი ქვეყანა დღეს რესპუბლიკაა, ესე იგი ისეთი სახელმწიფო, რომელსაც მეფე კი არ განაგებს, არამედ თვითონ ხალხის მიერ არჩეული პირები.

ამ რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყავს. გეფიცებით, ყველასა შურს თქვენი მდგომარეობა. მართალია, ჯერ ბევრი რამ გაკლიათ და როგორც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ისე ჩვენს მთავრობას ჯერ ბევრის გაკეთება უნდათ თქვენთვის და გააკეთებენ კიდეც, თუ თქვენც შეუწყობთ ხელს თქვენის ნდობით, თქვენის ერთგულებით, დახმარებითა და თანაგრძნობით.

მაგრამ დღესაც მთელს რუსეთში არსად არა აქვთ გლეხებს ისეთი რიგიანი ცხოვრება, როგორც თქვენ.

ამ მტრების მოსაგერიებლათ ჯარია საჭირო და თქვენის დახმარებით მთავრობამ და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უკვე შეადგინეს, მოაწყვეს კარგი ჯარი და კარგი გვარდია.

ვის იცავს ეს ჯარი, ეს გვარდია? ვისა და თქვენს სიცოცხლეს, თქვენს ოჯახს, თქვენს ცოლშვილს, თქვენს საცხოვრებელსა და კეთილდღეობას.

რითიც დავიწყე, იმითი უნდა გავათავო დღეს თქვენთან საუბარი თქვენ საქმის ხალხი ხართ, საქმეს უჯერით და არა მარტო სიტყვას.

მითხარით ახლა, ჰხედავთ თუ არა, რამდენი დიდი და უდიდესი საქმე გაუკეთებია თქვენთვის სოციალდემოკრატიულ პარტიას?

რა თქმა უნდა, ჰხედავთ, რადგანაც ამას ბრმაც კი დაინახავს.

მე მართალს გეტყვით: სოციალდემოკრატიული პარტია ყველა მშრომელთათვის შრომობს და იღწვის, მაგრამ ყველაზე მეტი ჯერ მან თქვენთვის — გლეხებისათვის — გააკეთა, ყველაზე მეტი თქვენ მოგცათ.

სოციალდემოკრატიული პარტია ერთის ხელით ჰმუსრავს და ანადგურებს თქვენს მტრებსა და ორგულებს, მეორე ხელით აშენებს საუცხოვო შენობას სრულებით ახალი ცხოვრებისას, სადაც პირველი ადგილი თქვენ და ყველა მშრომელებს გეკავებათ.

გაუმაგრეთ მას ზურგი, გაამხნევეთ ის ასეთ მძიმე გზაზე თქვენის დახმარებით, თქვენის თანაგრძნობით, თქვენის ყურით.

მე რაღა მინდა, რომ ამდენს გეზაასებით? მხოლოდ თქვენი სიცოცხლე—ადამიანური სიცოცხლე, სიკეთე და ბედნიერება!

დღევანდელ დღეს კი არჩევნებში სოციალდემოკრატ. პარტიის გამარჯვება—ბრწყინვალე გამარჯვება, რადგანაც მისი გამარჯვება თქვენივე გამარჯვებაა.

ივ. გომართელი.

**მოქალაქენო!**

სოციალდემოკრატია ეროვნებათა სოლიდარობის ბურჯია.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

## უკანასკნელი ცნობები

**ჭიათურა.** ქალაქის არჩევნები დამთავრდა. არჩეულ იქნენ სოციალ-დემოკრატი—14, ნაციონალ-დემოკრატი—3, ს. ფედერალისტი—1, ესერი—2.

**სიღნაღი.** საქალაქო არჩევნებში მოწინააღმდეგენი სასტიკათ დავამარცხეთ. გავიყვანეთ 25 ხმოსანი, სხვმა მოწინააღმდეგე პარტიამ გაიყვანა 5 ხმოსანი. ს.-დ. ორგანიზაცია.

**ბათუმი.** იანვრის 28. საქალაქო არჩევნების მოხდენაზე ჯერ გუბერნატორი არაფერს ამბობს. ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული რუსეთის დროებითი მთავრობის საარჩევნო კანონით არჩევნების მოხდენა გუბერნატორს ჯერ არ დაუმტკიცებია. სამაგიეროთ გუშინ გამოიცა ბრძანება გუბერნატორისაგან, რომლის ძალით ყველა, წარსულ 20 დეკემბრის შემდეგ ჩამოსული, სამის დღის განმავლობაში საადრესო ბიუროში მოვალეა ჩაეწეროს და ვისაც სურს ბათუმში დარჩენა, მან ამის შესახებ ნებართვა უნდა აიღოს გუბერნატორისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დასტოვოს ქალაქი. ეს განკარგულება ეხება აგრეთვე ყველა უსაქმო და უპროფესიო პირებს. ამ ბრძანების დამრღვევს მოელის სამი თვე ციხე ან სამი ათასი მანეთის ჯარიმა. ყველასათვის ცხადია, ვისი ზავი ხელი მუშაობს აქ და ვის წინააღმდეგაცაა მიმართული ეს ბრძანება. დღეს მოხდა ბათუმის ქართველების კრება, აირჩიეს ახალი ეროვნული საბჭო. ორმოცი წევრისაგან შემდგარმა კრებამ აირჩია კომისია, რომელიც წარუდგება გენერალ-გუბერნატორს და, სხვათა შორის, უკანასკნელ განკარგულებაზედაც ექნება მასთან საუბარი. გუბერნატორის ბრძანებით დახურული „სამუსლიმანო საქართველო" ჯერ არ გამოსულა. საოლქო საბჭო თანაგრძნობით ექცევა მოხალისეთა ჯარს. მან ნება დართო გაიტანოს ბათუმიდან ჯარის საჭიროებისათვის ხუთასი ფუთი ნავთი. ქალაქის მილიციის უფროსათ დაინიშნა გუსევი. ზემო აჭარის უფროსათ გაიდარბეგ ბიბოშ ზადე. ართვინის სამილიციო უბნის უფროსათ ტიუკ ეფენდიევი.

ოზურგეთი. 26 იანვარს მოხდა ოზურგეთის საქალაქო არჩევნები. დიდი ავდრების გამო 5354 ამომრჩევლიდან ყუთთან გამოცხადდა 1446 ამომრჩეველი, რომელთაგან სოციალდემოკრატებმა მიიღეს 1023 ხმა და გაიყვანეს 14 ხმოსანი, ეროვნულ დემოკრატებმა—344 ხმა, გაიყვანეს 5 ხმოსანი, სოც.-ფედერალისტ.—79 ხმა, გაიყვანეს 1 ხმოსანი. შარშანდელ შემადგენლობაში სოც. დემოკ. ჰყავდათ გაყვანილი თავისი სიით 8, უპარტიო 1 და 2 ესერი ბლოკით. ესერებს ამ არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა. მოხდა შემდეგი ცვლილება: შარშანდელი უპარტიონი გამოდგნენ ეროვნულ-დემოკრატები. ერთის გამოკლებით ესერების ხმა მიემატათ მათ. სოც.-დემ. და სოც.-ფედ. დარჩნენ თავიანთი ძალებით.

---

გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა დიდი ბრიტანეთის სარდლობას სტამბოლში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: საქართველოს მთავრობისადმი თქვენ მიერ გამოგზავნილი თავაზიანი დეპეშის 9—1—19—1—4342 პასუხად, გთხოვთ გადასცეთ დიდი ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრს შემდეგი: „ქართველი ხალხი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დიდის აღფრთოვანებითა და კმაყოფილებით შეხვდა თქვენ მიერ გამოგზავნილ ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა სიმპატიით უცქერის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და მზათ არის მხარი დაუჭიროს მის ცნობას საერთაშორისო კონფერენციაზე. ეს ცნობა ქართველი ხალხის გულში მხურვალე მადლობის გრძნობას იწვევს და ამტკიცებს ჩვენში რწმენას, რომ ახალგაზდა საქართველოს რესპუბლიკისა და დიდი ბრიტანეთის ნაციის შორის განმტკიცდება კეთილი დამოკიდებულება".

## საქართველოს პარლამენტი

24 იანვრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ი. ზარათაშვილი.

**კანონ პროექტი ყოფილ სანადელო, სახაზინო და ხიზანთა მიწების კერძო საკუთრებათ აღიარების.**

დ. ონიაშვილი. პარლამენტის წევრნო! ამ დღეებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი კანონ-პროექტი მიწის საკითხის შესახებ. მიუხედავად ამისა იგი სავსებით მაინც ვერ სწყვეტს აგრარულ საკითხს. საქართველოში დღესაც მოიპოვება მიწის მფლობელობის ისეთი ნაშთები, რომლებსაც გამორკვევა სჭირია და ჩამოყალიბება გარკვეულ იურიდიულ ფორმებში. ტფილისის გუბერნიაში ჯერ კიდევ არიან დროებით ვალდებულნი გლეხები, ფაქტიურად თუ არა, იურიდიულად მაინც ითვლებიან; არიან ე. წ. სახაზინო გლეხები, რომლებსაც ძველი მთავრობა აძლევდა მათ მიწებს დასამუშავებლად და ამაში ახდევინებდა გადასახადს. გლეხები ამ მიწებს საშვილიშვილოთ ფლობენ, ისინი მიწებს უყურებენ, როგორც თავიანთ კერძო საკუთრებას. რა მდგომარეობაში იმყოფება ხიზანთა ინსტიტუტი ეს ყველას კარგად მოეხსენება. აღსანიშნავია აგრეთვე მიწათ მფლობელობის წესები ახალციხის მაზრაში, სადაც შარიატის აზრით მიწა სულთანის საკუთრება იყო და გლეხს მიწაზე დაწესებული გადასახადი უნდა ეხადნა მებატონეთა სასარგებლოთ. ასეთია ის აჭრელებული მდგომარეობა მიწათ მფლობელობის, რომელიც არსებობს ჩვენ ქვეყანაში. ყველა ამ ზემო ჩამოთვლილ მიწებს, გლეხები ფლობდენ საშვილიშვილოთ. იგინი ამ მიწებს საკუთრებათ სთვლიან. ეს მიწები გლეხკაცობამ უკვე გამოისყიდა თავის სისხლით და ოფლით და უსამართლობა იქნებოდა, რომ რაიმე ფასი დაედვათ ამ მიწებზე. საჭიროა ამ კანონის დაუყონებლივ ცხოვრებაში გატარება, რომელიც მოსპობს ბატონყმურ ნაშთებს.

მ. მაჩაბელი. თავის ვრცელ სიტყვაში ილაშქრებს ამ კანონ პროექტის წინააღმდეგ, რომლის განხორციელებაც დიდ არევ-დარევას გამოიწვევს გლეხობაში. ბორჩალოს მაზრაში სხვა ერის მოსახლეობა უკანონოთ ფლობს მიწებს და თქვენ გსურთ ეს მათი უკანონო მფლობელობა დააკანონოთო. ეს კანონი უნდა დაუბრუნდეს კომისიას ხელახლათ გასარჩევათო. ორატორი ჩვეულებისამებრ თავის სიტყვაში ქებათა ქებით იხსენიებს თავად-აზნაურობას, რომელიც თავის სიტყვით თუ საქმით იცავდა გლეხების ინტერესებსო. კამათი შეწყდა. კანონის მუხლობრივ განხილვის დროს კამათში მონაწილეობა მიიღეს აკ. პაპავამ, მ. მაჩაბელმა, რომელთაც პასუხი გასცა მომხ. ონიაშვილმა. კანონ-პროექტი უცვლელად მიიღეს ხმის უმეტესობით.

---

**საშვალო სასწავლებლების შტატები და მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების კანონ-პროექტი.**

ნ. ცინცაძე. ნივთიერი მდგომარეობა მასწავლებლებისა მეტად უნუგეშოა. უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლები იღებენ დღემდე ჯამაგირს საშვალოთ 325 მანეთს, საშუალო სასწავლებლების 400—500 მან. ეს ნორმა ჯამაგირებისა მეტად მცირეა და თავის დროზე უწყებამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო კანონ-პროექტი მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისა ვერ იქნა დროზე წარმოდგენილი. ამ კანონ-პროექტით უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლების მასწავლებელთ დაენიშნებათ 500—600 მან. საშუალო სასწავლებლების—750 მან. ეს იქნება ძირითადი ჯამაგირი გაკვეთილებისა. თუ მასწავლებლებს გაკვეთილების გარდა დაეკისრებათ სხვა თანამდებობანი, ისინი დამატებითი ჯამაგირს მიიღებენ. კანონ პროექტით მასწავლებელთ დამატებითი ჯამაგირები მიეცემათ 1 სექტემბრიდან. დამატებითი ხარჯებს ამ კანონის განხორციელება მოითხოვს 8 ნახ. მილ. მანეთს.

წარმოდგენილ კანონ-პროექტს სავსებით უჭერენ მხარს.

ალ. წერეთელი (მაშვრ. სოც.-ფედ.) აღნიშნავს, რომ შეუძლებელია მასწავლებელთა ჯამაგირების რაოდენობის განსაზღვრა იმის და მიხედვით დიპლომიანია იგი თუ არა. საჭიროა შრომის დაფასება და არა დიპლომებისა.

შ. ქარუმიძე მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონ-პროექტს. აღნიშნავს, რომ განათლების სამინისტრო ვერ ადგა მტკიცე გზას, მისი ნაბიჯები სკოლის გაჯანსაღებისა არის ნაწილობრივი და უსისტემო, ერის აღდგენა კი სკოლის აღდგენიდან იწყებაო.

მომხ. ცინცაძე უპასუხებს ალ. წერეთელს და აღნიშნავს, რომ ზედმეტია ეხლა ლაპარაკი იმის შესახებ, გათანასწორდეს თუ არა კვალიფიციური და არა კვალიფიციური შრომა. პრაქტიკულად წერეთლის აღძრული კითხვა კანონ-პროექტის მე 17 მუხლი სწყვეტსო. კამათი შესწყდა. კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი უცვლელად მიიღეს.

25 იანვრის სხდომაზე, თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

**კანონ-პროექტი ადმინისტრაციის და მილიციის თვითმართველობათა ხელში გადაცემისა.**

მ. ჩხეიძე ასული. ადგილობრივი თვითმართველობები არიან სახელმწიფოს ორგანოები და ცხადია, რომ ადმინისტრაცია და მილიციაც უნდა გადავიდეს თვითმართველობათა ხელში, მაგრამ, რადგანაც უზენაეს ცენტრალური ორგანო არის მმართველი მთელი სახელმწიფოსი, ცენტრალურმა მთავრობამ საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ადმინისტრაციასო.

აფხაზი. პრინციპიალურად ორატორი არ არის წინააღმდეგი, რომ მილიციას თვითმართველობათა განკარგულებაში ეყოს, მხოლოდ ამ პრინციპის გაყვანა ნაადრევათ მიაჩნია. ერობას, რომელსაც დაკისრებული აქვს ბევრი სხვა ფუნქციები, ვერ შესძლებს გაუწიოს ხელმძღვანელობა მილიციას, რადგანაც მას არც საკმაო კულტურული ძალები მოეპოვება და არც თანხა აქვს მილიციის ხარჯების დასაფარავათო.

მომხსენებლის პასუხის შემდეგ პარლამენტი გადადის პროექტის მუხლობრივ განხილვაზე, რომელშიაც რამდენიმე არსებითი შესწორება შეიტანა ს. დ. ფრაქციამ. შესწორებანი პარლამენტმა მიიღო.

უკამათოდ მიიღეს კანონ პროექტი მარინეს ამხანაგობის გაუქმებისა და მისი ქონების სახელმწიფოს ხელში გადაცემისა.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

28 იანვარი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ ლუვენის სათემო მართველობამ გადასწყვიტა კვლავ აშენოს ქ. ლუვენი, სადაც 150 სახლი გადასწვეს გერმანელებმა.

ქ. ლილში ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლების შორის დაიდო კონვენცია, რომლის ძალითაც ბელგიის რკინის გზების მართველობა სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელში იქნება.

**გერმანული პრესის ცნობები.**

გერმანიის მთავრობის მოხალისეთა რაზმებმა იანვრის 26 მდინარე ვინდავაზე უკუაქციეს ბოლშევიკები, რომელთა ძალებიც გერმანელებისას აღემატებოდა. ბოლშევიკები დიდად დაზარალდნენ და მდინარიდან უკან დახევის დროს დიდძალი სამხედრო მასალა ჩაუგდეს ხელში გერმანელებს. გერმანელების დანაკლისი უმნიშვნელოა.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბოლშევიკების ლიდერი რადეკი აქნობამდე ბერლინში იმყოფება. ყოველგვარი ცნობა იმის შესახებ, რომ მან შესძლო ბერლინიდან გაქცევა, სიმართლეს მოკლებულია. მის დასაჭერათ ბრძანება არის გაცემული, აგრეთვე ბრძანებაა გაცემული ცნობილ სპარტაკელების ბელადის ეიხგორნის დასაჭერათ.

**ბოლშევიკების ცნობები.**

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელსკის რაიონი. 25 იანვარს ბრძოლის შემდეგ ჩვენ შენკურსკი დავიჭირეთ. იმავე რაიონში ჩვენ დავიჭირეთ რამოდენიმე სოფელი, ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველი და სურსათის საწყობი. ნოვოხოპიორის სამხრეთით ჩვენი ჯარი განაგრძობს მოწინააღმდეგის დევნას. ჩვენმა ჯარმა სოლონკა მურავსკაიას ხაზი გადალახა. სოლონკის აღების დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 600 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიისმფრქვეველი. სამხრეთ ფრონტზე ჩვენ წინ მივიწევთ.

24 იანვარს ჩვენმა ჯარმა მდ. ურალზე ქალაქი ილეცკი დაიჭირა, ხელთ იგდო მრავალი სამხედრო ქონება. ლამანსკის მეხონოვის დაჭერის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 1000 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიისმფრქვეველი და ყუმბარები.

კარნაფონი. იანვრის 26. რუსეთის საკითხი კვლავინდებურად დიდ საჭირ-ბოროტო საკითხს წარმოადგენს დიპლომატებისთვის. თუ რუს დელეგატების ყრილობა არ მოხდა დანიშნულ დროზე, მაშინ ყრილობა მარტამდე გადაიდება.

## ახალი ამბები

დღეს, სალამოს 6 საათზე, ნაძალადევის მუშათა კლუბში შესდგება მიტინგი, გაგრძელება კვირის მიტინგისა. მომხსენებლათ გამოვლენ ნოე რამიშვილი, რ. ჩიხლაძე და სხვები.

✦ **ბოლშევიკების მდგომარეობა კავკავში** უნუგეშოა. საბჭოს თავმჯდომარე ბუღლე გაქცეულია. ქალაქს ამ დღეებში ინგუშები დაიკავებენ.

✦ **მიწათ მოქმედების სამინისტროსა** და ბორჯომის მამულში მომუშავეთა შორის უთანხმოების გამო, შრომის მინისტრმა წინადადება მისცა თფილისის გუბერნიის შრომის კომისარს, რომ მან გავლენა მოახდინოს მუშებზე—მუშაობა არ შესწყვიტონ.

✦ **ხად. ორთაჭალა.** მესამე ვერსზე მყოფნი სომეხთა ლტოლვილები სიცივების გამო სწვავენ და ანადგურებენ ბარაკებს, ადგილობრივი მილიცია უძლურობას იჩენს. საჭიროა ყურადღების მიქცევა და დროზე ზომების მიღება.

✦ **ახალგაზრდა მარქსისტთა კრება.** დღეს, 29 იანვარს, დღის 3 საათზე, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბინაზე, ოლღას ქ. № 29, დანიშნულია მეოთხე რაიონის (1, 2, 3 და 13 უბნის) ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ კრებას.

✦ **თავის მოკვლა.** 26 იანვარს თავის ბინაში, დუშეთის ქუჩა № 21, თავი მოიკლა რევოლვერით მ. ხოფერიამ.

✦ **დაიკარგა გოგო** სახელად ფატი. 13—14 წლის, წითური. მისამართი 1—2 კომისარიატი.

✦ **საარჩევნო კრება.** ხუთშაბათს, 30 იანვარს, სალამოს 4 საათზე, დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდში" მოხდება საარჩევნო კრება დიდუბის მოქალაქეთა. მოუწოდებთ პარტიის წარმომადგენელთ დაესწრონ ამ კრებას.

✦ **გაზეთების შეწყვეტა.** დღეს უკანასკნელად ეგზავნება გაზეთები საქმიეს სერს, რადგანაც ფულის მიღებას ვერ ვღირსეთ. ხვალიდან გაზეთის გზავნა შეწყდება ხონშიაც. აგენტებს ვსთხოვთ დააჩქარონ ფული. ფულის გამოგზავნა ეხლა შეიძლება დეპეშით და ფოსტითაც იძლევიან. კანტორა "განათლება".

✦ **მკვლელობა.** 25 იანვარს, დღის 3 სათ. მილიციონერი პ. კვერცხიშვილმა უცაბედათ მოკლა ა. გაბრიჩიძე.

✦ **საქ. ს.-დ. ცენტრალურმა კომიტეტმა** მიიღო გაგრის ს.-დ. კომიტეტისაგან (ერმოლ. ბერძენიშვილის ხელით) 100 მანეთი % გადასახადი და 500 მანეთი დამფ. კრების ფონდისათვის, სულ—600 მანეთი.

✦ **ქურდობა.** სამხედრო ჰოსპიტალის ცეიხგაუზიდან 14—22 იანვრამდე მოიპარეს 22,500 მან. ფართალი. დაატუსაღეს დარაჯები.

**კრებები.**

ოთხშაბათს, სად. 5 საათზე, მეოთხე რაიონული კოლექტივის ბინაზე (ოლღას ქ., 29) დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრება. მოხსენებას გააკეთებენ პარლამენტის წევრნი: ევგ. გეგეჭკორი და ივ. გომართელი.

— დღეს, 29 იანვარს, სად. 4 საათზე, სახელოსნოს სასწავლებლის შენობაში (ეგზარხოსის მოედანი) დანიშნულია მე-4 სამილიციო უბანში მცხოვრებ საქ. ს. დ. მ. პ. წევრთა და თანამგრძნობთა საგანგებო საზოგადო კრება. მოხსენებას გააკეთებენ ჩვენ საარჩევნო პლატფორმაზე რ. ჩიხლაძე და ი. ირემაშვილი.

**პროვინციის ქრონიკა.**

ქუთაისი. დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა აუწყებს ყველა წევრებს, რომ ამ თვის 31 რიცხვს (ახალი სტილით), დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში დანიშნულია მორიგი წლიური წარმომადგენელთა ყრილობა; სთხოვს ყველა ფილიალურ განყოფილებებს დანიშნულ დროისთვის ყრილობაზე აუცილებლათ გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები.

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ უკვე ჩაიბარა და მიიღო თავის განკარგულებაში ადგილობრივი სადგილ-მამულო გამგეობა. ამიერიდან სადგილ-მამულო საქმეების წარმოებას და აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას განაგებს თვით საერობო გამგეობა. სახალხო განათლების უწყების მიღებას გამგეობა უკვე შეუდგა და გააგზავნა თავის წარმომადგენელი ქ. ფოთში მეოთხე რაიონის მეთვალყურისაგან საქმეების ჩასაბარებლად.

სენაკის მაზრაში 10 იანვრიდან დაიწყო წვრილი საერობო ერთეულების არჩევნები. ზოგიერთ საზოგადოებებში არჩევნები უკვე დამთავრდა და ამ მოკლე ხანში დასრულდება სხვა დანარჩენ საზოგადოებებშიაც.

## რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები

შრომის მინისტრის ამხანაგის გ. ერაძის მოხსენებით საქართველოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ, 21 იანვარს 1919 წელს მთავრობამ დაადგინა:

1) გადიდებულ იქნას ჯამაგირი რკინის გზის მუშებისა.

| | | | |
|---|---|---|---|
| I—X | კატეგორიებს მოემატება | 75 | პროც. |
| XI—XII | — — | 70 | პროც. |
| XII—XIV | — — | 65 | პროც. |

საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეებს მოემატოთ I—X კატეგორიას 75 პროცენტი; XI—XII 70 პროც, XII—XIV 65 პროც.

რკინის გზის ადმინისტრაცია უნდა შეუთანხმდეს რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს რკ. გზის მოსამსახურეთა 14 კატეგორიებათ დაყოფაში შემდეგი პირობების დაცვით:

1) გამოყოფილ იქნეს ადმინისტრაციის პირები (წარმოებაში როლების მიხედვით) სუფთა მომუშავეთა და დაწესებულ იქნეს კერძო კატეგორიები მათ შორის.

2) დაყოფილ იქნეს ყველა მუშები და მოსამსახურენი: ა) ფიზიკური შრომის მწარმოებელთა, ბ) კანტორის და გონებრივად მომუშავეთა.

3) თითოეული ჯგუფი დაყოფილ იქნეს პროფესიებათ და თითოეული პროფესია რამოდენიმე კატეგორიებათ პროფესიონალური ხელოვნების ან შრომის სიმძიმის მიხედვით.

4) თითოეული ჯგუფი და კატეგორიები დაყოფილ იქნეს სამი ტერიტორიალური რაიონებათ: თფილისის, ხაშურის და სამტრედიის. III რკინის გზის ადმინისტრაცია უნდა შეუთანხმდეს რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს, რკინის გზაზე შრომის რეგისტრაციის გამოსარკვევათ და წარმოების გასადიდებლათ. IV ზოგიერთ ჯგუფის მოსამსახურეებისა და მუშების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველათ: 1) შედგენილ იქნეს კომისია, რომელშიაც უნდა შევიდნენ: რკინის გზის ადმინისტრაციის რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის და შრომის სამინ. წარმომადგენლები. კომისიას უფლება ეძლევა ყოველმხრივ გამოიძიოს ბოროტმოქმედება, მისი შეხედულობით სამსახურიდან დაითხოვოს დამნაშავე მუშა ან მოსამსახურე და გადასცეს სასამართლოს.

2) ცნობილ იქნას აუცილებლად, რომ მუშაობის გადაცემის პასუხისმგებლობა გადაეცეს მწონავთა არტელებს, დამტვირთავებს და „კასირებს".

---

**მოქალაქენო.**

მთელ რუსეთში თავისუფლება მოისპო და სასტიკი დესპოტიზმი გამეფდა.

სოციალდემოკრატიამ შეინარჩუნა საქართველოში რევოლიუციის ყველა მონაპოვარნი.

ხმა მიეცით სიას № 1.

## კიდევ "ინტერნაციონალისტებზე"

როგორც ეტყობათ ინტერნაციონალისტებს ჩვენი კავშირი სამოქმედო ბაზათ უნდოდათ გაიხადონ. კავშირის გამგეობას არ შეატყობინეს და ისე მოახდინეს კრება „მირის" ფაბრიკაში. მერე ჩვენთან უნდოდათ კრების მოხდენა, მაგრამ ჩვენთან ვერ მოახერხეს. 24 ამ თვეს სეილანოვის ფაბრიკაში მოახდინეს კრება. ჩვენი კავშირის მდივანმა ა. ხელაძემ შემთხვევით გაიგო, რომ კრება არის დანიშნული. მე, ხელაძე და კიდევ სხვა მოწინავე მუშები დავესწარით ამ კრებას. კრებაზე მობრძანდნენ არშაკ ზურაბოვი და არშაკ მარქარიანცი—ინტელიგენტი (ჩემს პირველ წერილში შეცდომით არის ნახსენები ის მუშად). ჩვენ მოველოდით ამხ. ჯუღელს, მაგრამ არ მოვიდა. სანამ კრება გაიხსნებოდა მე ვნახე ამხ. სარქისა, რომელმაც გადმომცა შემდეგი: სეილანოვის ამხანაგმა ნარიმანცმა ჩვენი „ინტერნაციონალისტიც" არშაკ მარქარიანცი გამაცნო, როგორც ძველი მუშა.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სან. ბაჯიევი. მოხსენება გააკეთა ა. ზურაბოვმა. მე,—მიმართა მან კრებას,—დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს თქვენგანს არ ექნება ხმის უფლება. ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა შეიტანეს პარლამენტში ეს კანონი. შეგნებულად უღალატეს დემოკრატიას, ნაციონალ-დემოკრატებთან შეჰკრეს კავშირი და გახდნენ ნაციონალისტები, რ. ს. დ. მ. პ. უღალატესო და ამისთანები.

მერე ილაპარაკა ამხ. ხელაძემ, რომელმაც კონკრეტიულად დაუსვა კითხვა: სად უფრო დაცულია მუშათა კითხვა: საქართველოში, სომხეთში თუ აზერბეიჯანში? როდესაც თქვენ იძახით ორიენტაცია რუსეთზე, პირდაპირ სთქვით—ვისი ორიენტაცია გინდათ: დენიკინის თუ ბოლშევიკების, ვინაიდან რუსეთში სხვა რეალური პარტია არ არის. როცა ხელაძე ლაპარაკობდა, სანდრო ბაჯაშვილი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ზურაბოვის მომხრე დაშნაკცაკანები ეუბნებოდნენ—ნუღარ ალაპარაკებ ორატორსაო და არ იცოდა რა ექნა მას. ძნელია, სანდრო, ორ სკამზე ჯდომა. ხელაძის შემდეგ მე ვიყავ ჩაწერილი, მუშებს ეჩქარებოდათ სახლში წასვლა და ამიტომ სანდრომ კრებას დაუყენა კითხვა—მოეცათ ჩემთვის ლაპარაკის ნება თუ არა, მე მუშებმა მომცეს ნება ლაპარაკისა. მე მივმართე მათ: ამხანაგებო, ხომ გაიგეთ ზურაბოვმა სთქვა: მთავრობამ უღალატა დემოკრატიასაო, ნაციონალისტები გახდნენო. ისინი ჩვენი ამორჩეულნი არიან, პირადათ მე მათ მხარს ვუჭერ ჩემის არსებობით. მე გეკითხებით თქვენ: ჩვენ ხომ თქვენთან ვმუშაობთ, თქვენ ინტერესებს ვიცავთ. აბა ვინმე გამოვიდეს თქვენგან და სთქვას, რომ ჩვენ ქართველებს სხვანაირათ ვექცევით და სხვა ერებს სხვანაირათ. მუშებმა დაიყვირეს: ყველას ინტერესებს ერთნაირათ იცავთო.

მთავრობამ აქნობამდინ მოგვიყვანა, ბევრს ჭირს გადაგვარჩინა და ეხლაც შესძლებს სამშვიდობოს მიგვიყვანოს. სად იყვნენ ეს ბატონები წინათ? ეხლა იმიტომ მობრძანდნენ, რომ უნდათ ჩვენი ხმები. არა, ჩვენ მივცემთ ხმებს იმათ, ვინც ხოცვა-ჟლეტას გადაგვარჩინა, ჩვენ მივცემთ ხმას პირველ ნომერს. დიდმა ნაწილმა კრებისამ ტაშის დაკვრით მიიღო ეს მოწოდება, ბოლოს ილაპარაკა ზურაბოვმა, მუშებს ეჩქარებოდათ და კრება დაიშალა.

პეტრე მემარნიშვილი.

---

ამხანაგი სტეპკო ისრაილოვი აცხადებს პროტესტს იმის შესახებ, რომ ის შეუტანიათ მის ნება დაურთველად ინტერნაციონალისტების საარჩევნო კანდიდატების სიაში იმის მიუხედავად, რომ სამჯერ უთქვამს არშაკისთვის, მე თქვენ პარტიას არ ვეკუთვნი და არც თანხმობაზე მოუწერია ხელი, მაგრამ მაინც შეუტანიათ სიაში. სტეპკო პარტიის ძველი წევრია და შეცდომაში შეიყვანენ.

პ. მ.

---

მოქალაქენო! ბოლშევიკებისა და რეაქციონერების წყალობით მთელი რუსეთი ააოხრეს, ქალაქები დაანგრიეს და ააწიოკეს.

საქართველოში სოციალდემოკრატიამ იხსნა ყველა ქალაქები დარბევა-აწიოკებისაგან.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

## სამუსლიმანო საქართველო

ბათუმში.

ქართულ ეროვნულ საბჭოს ბევრმა ქართველმა ოჯახმა მიმართა თხოვნით, რათა ბათუმში გახსნილ იქნას ქართული გიმნაზია. ბევრ ბათუმელ მშობლებს თავის შვილები საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სასწავლებლებში ყავთ. ეროვნული საბჭო დიდის ყურადღებით ეპყრობა ამ საქმეს და ის ახლო მომავალში აპირებს ქართულ გიმნაზიის გახსნას ბათუმში.

ბათუმს დიდძალი ხალხი მოაწყდა. ბინები თითქმის ყველა დაკავებულია. ბინის საკითხი ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანია ბათუმისა.

წ. კ. გ. ს. ქართული სასწავლებლის შენობა დაკავებულია ინგლისელთა ჯარისკაცთათვის. მასწავლებელს ბევრმა მშობელმა მიმართა გაიხსნება სწავლა თუ არა. ქართულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ და მასწავლებელმა სკოლისამ მიმართეს შტაბს თხოვნით, რათა სასწავლებელი განთავისუფლებულ იქნას. მიიღეს დაპირება, რომ ერთი ორი კვირის განმავლობაში სასწავლებლის შენობა განთავისუფლებული იქნება. („სამუს. საქ.")

ამ დღეებში ბათუმში დაიწყო გამოსვლა რუსულ ენაზე „ბატუმსკია ვესტი" ა. გერვასის რედაქტორობით. ამ გაზეთის მთელი სიმპატია ჯერჯერობით საქართველოს დამოუკიდებლობის მხარეზეა. ბათუმში დროებით კარგი დარები დგას.

ბათუმს გამოცოცხლება თანდათან ეტყობა. დღეში ორი სახალხო მატარებელი დადის ნატანებამდე. გზის გახსნის გამო აუარებელი ხალხი მიაწყდა და სურსათის და სხვა საქონელის ფასმაც თვალსაჩინოთ აიწია. ყველა ეროვნების ყურადღების ცენტრი ქალაქის საარჩევნო კომპანიაზეა მიქცეული. მცხოვრებთა აღწერა, რომელიც დანიშნული იყო 20 იანვრისათვის, არ დაწყებულა, რადგან მოკავშირეთა წარმომადგენლისაგან არ არის სათანადო დასტური.

ადგილობრივ საბჭოს სათავეში უდგას ცნობილი მასლოვი, რომელსაც უნდა შეიტანოს

ცხოვრებაში რუსული თვითმპყრობელური სული, მის ა ნიადაგზე მოქმედებას მხარს უმაგრებენ სომხის შოვინისტები. ქალაქს იცავს ყველა ეროვნებიდან შემდგარი მილიცია. ამ უკანასკნელ დროს ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა ძალიან გახშირდა. ხალხის ხმა ამ ძარცვა-გლეჯას და მკვლელობებს აბრალებს ოსმალოს დარჩენილ ჯარისკაცებს და ტყვეობიდან დაბრუნებულ ზოგიერთ სომხის ჯარისკაცებს, ორთავეს რიცხვი ბათუმში საკმაოთ დიდია. ზომებს მათ წინააღმდეგ არავინ ღებულობს.

ადგილობრივი საბჭოს განკარგულებით დროებით შეაჩერეს გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", რადგან საბჭოდან ნებართვა არ ჰქონია აღებული.

რკინის გზაზე მიუღიათ ყველა ის პირები, ვინც საქ. რკინის გზიდან სხვადასხვა მიზეზების გამო დაითხოვეს და ვინც ბათუმის დატოვების შემდეგ დარჩნენ იქ და ემსახურებოდნენ ოსმალეთის მთავრობას. ჯამაგირს ღებულობენ დღიურათ უფროსი მოხელები 50 მ., წვრილი მოსამსახურეები 25 მ. 21 იანვრიდან ბილეთებზე ფასი ასწიეს. ამ რიცხვამდე ნატანებამდე ბილეთი ღირდა მესამე კლასის 5 მ. 40 კ. 21-დან 8 მ. 50 კ.

## იოსებ თედორესძე მერაბიშვილი

ქ. დუშეთში სამარესთვის მიუბარებიათ საქართველოს ხაზხედრო გზაზე ყაჩაღებისაგან ვერაგულად მოკლული ამხ. იოსებ მერაბიშვილი. იოსები მე გავიცანი 1918 წ. ჩემი დუშეთში მუშაობის დროს, იმ დროს ბოლშევიკების გამოსვლა იყო და ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ცხინვალის ბოლშევიკების გამოსვლის წინააღმდეგ 400—500 კაც. შემდგარი რაზმი გაიგზავნა ქ. გორში. მე და იოსებიც სხვა ამხანაგებთან ერთად მოვხვდით ამ რაზმში და აი აქ, ამ მოგზაურობაში გავიცანი მე ის თავისი კეთილი გულით და ძალიანაც დავმეგობრდით. ჩვენი რაზმი გორში დაბანაკდა და ნაწილს აღარ მოგვიხდა ოპერაციებში მონაწილეობის მიღება, რადგან უკვე თავდებოდა ცხინვალში ანარქია. შიგ ჩვენ რაზმში ბევრი ბოლშევიკურის მისწრაფებით იყო გაჟღენთილი, დაჟინებით მოითხოვდენ ან პოზიციებზე წასვლას, ან კიდევ სახლში დაბრუნებას. გორის შტაბი კი თხოულობდა კიდევ რამდენიმე დღეს, რომ დარჩენილიყო რაზმები, მაგრამ ბევრი რაზმი დაუკითხავათ შტაბისა წავიდა სახლში, ჩვენი რაზმი კი იოსების ენერგიული მუშაობის წყალობით დარჩა გორში მანამდის, სანამ ეს საჭირო იყო შტაბისთვის. იოსებს ყოველთვის ბედი სწყალობდა, სადაც უნდა ყოფილიყო უსათუოდ საერთო სიმპატიას და სიყვარულს იმსახურებდა ყველას თვალში. ცხინვალის ამბოხების შემდეგ ხშირად ვხედავდი იოსებს. იოსები იყო მუშა—მუშის შვილი და დიდი გაჭირვებას განცდილი, იოსები იყო სპეტაკი გულით და კეთილშობილი რევოლიუციონერი.

შენი მოსიყვარულე მიტო ქიტუაშვილი.

## ჩვენი ჯარისთვის

საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება ფულად.

1) მეჯვრის-ხევის კოოპერატივისაგან ათი ათასი მანეთი. 2) გორის ქალთა გიმნაზიისაგან ორი ათას ხუთას ოცდა თვრამეტი მან. და 70 კაპ. 3) იკრიის საზოგადოებისაგან ოთხას ოცდა ორი მან. და 50 კაპ. 4) გორის კლუბში, დავით ამირეჯიბისაგან შეგროვილი 300 მან. 5) გორის ქალთა ორგანიზაციის „მანდილოსანი"-საგან ათას შვიდას ოცდა თვრამეტი მან. და 80 კაპ. 6) ვასო გოგიტაშვილისაგან სუფრაზე შეგროვილი ოთხას ოთხმოცდა ათი მან. 7) კ. სალუქვაძისაგან ხუთი თუმანი. 8) ელიზბარ კედიასაგან ხუთი თუმანი. 9) სოფელ ხაშმის საზოგადოებისაგან სამას ორმოცი მან. 10) სოფელ მეტეხში, ბარბარე მაღალაშვილისაგან შეკრებილი ორას ორმოცდა თექვსმეტი მან. 11) ქალთა მესამე გიმნაზიის მასწავლებელთა და მოწაფეთაგან ათას ექვსას ოთხმოცდა რვა მან. 75 კაპ. 12) კაპიტან გიორგაძისა და ვლადიმერ ლომინაძისაგან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკი"-ს მიერ შეგროვილი ოთხი ათას ორასი მ. 13) სამთო ცხენოსან ბატარეისაგან 6 იანვარს ფრონტზე გამართულ წარმოდგენის შემოსავალი ხუთასი (500) მან., 14) ანნა ზაპრიუევსკისაგან ას ორმოცდა ათი მ., 15) პროკოფი მაქსიმეს ძე დოლიძისაგან ლანჩხუთის ინტერპარტიულ კომისიისაგან თვრამეტი ათას სამას ორმოცდა თორმეტი მ. 14 კაპ. 16) ქალთა მეშვიდე გიმნაზიის მასწავლებელთა დღიური ჯამაგირი და ამავე სასწავლებელში გამართულ კონცერტის შემოსავალი ათასს ცხრაას ოთხმოცდა ათი მ. 10 კაპ. 17) ალექ. თარხან მოურავისაგან შეგროვილი ას ორმოცდა შვიდი მ. 25 კ., 18) ნესტორ მერაბის ძე სულაძისაგან ასი მან., 19) არქიპო გიორგის ძე სულაძისაგან ასი მანეთი., 20) ილია ტატოს ძე სულაძისაგან ასი მან., 21) დომენტი ქრის. სულაძისაგან ასი მ., 22) ალექსანდრე ტატ. სულაძისაგან ათი მ., 23) ნაძალადევის სკოლის მშობელთა და მოწაფეთაგან ას ოთხმოცდა რვა მ. 50 კ, 24) კუკიის მე 5 სკოლის მოწაფეთა და მშობელთაგან თერთმეტი მ., 25) კაპიტან გიორგაძისაგან და ვლ. ლომინაძისაგან სამინისტრო საბარგო და სავეჯო საწყობში მოსამსახურეთა შორის შეგროვილი ათას ოთხმოცდა ოთხი მან., 26) კაპ. გიორგაძისა და ვლ. ლომინაძისაგან თფილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის სამრევლო საბჭოში შეგროვილი ასი მ., 27) კაპ. გიორგაძისაგან ვაჭართა შორის შეგროვილი ხუთი ათას ას ორმოცი მ., 28) კახეთის რკინის გზის მოსამსახურეთა საპროფესიო კავშირისაგან ცხრამეტი ათასი მ., 29) კახეთის რკ. გზის მოსამსახ. კოოპერატ. ათი ათასი მან, 30) წმ. მარიამის სახელობის სკოლის მშობელთა კავშირისაგან ას ოცდა შვიდი მან. 31) „Борьба"-ს რედაქციაში შემოსული სამოცდა ჩვიდმეტი მან. 32) კაპ. გიორგაძისა და ვლ. ლომინაძისაგან შეგროვილი ორას სამი მან. და 45 კ. 33) ამაღლების ეკლესიის თანხიდან კაპიტ. გიორგაძისა და ვლ. ლომინაძისაგან გადმოცემული ორას ორმოცდა ათი მან. 34) წმ. ნინოს გიმნაზიის მოწაფეთაგან ას ოთხმოცდა ერთი მან. 35) წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის მასწავლებელთაგან ათას ექვსას სამოცდა სამი მან. 36) სააპარქიო სასწავლებლის მოწაფეთა და მასწავლებელთა შორის შეგროვილი რვაას ოთხმოცდა ერთი მან. 37) კორხანიძისაგან ორას ორმოცდა ათი მან. 38) კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობისაგან ოთხას ოცდა ცამეტი მან. 25 კაპ. 39) „სასადილო იმედისა"-საგან შვიდას ოცდა ხუთი მან. 70 კ. 40) გერასიმე კვაჭაძისაგან შეგროვილი ელიავის 5 მ. 5 კ. და მურადოვისაგან 3 მ. 80 კ. 41) სადგურ კოპიტნარიდან ლუარსაბ ჯამელიძისაგან ოცი მან. 42) აკაკის სახელობის ქალაქის სკოლის მეოთხე განყოფილების მოწაფეთაგან ყულაბში აღმოჩნდა ორმოცი მან.

— —

სია იმ პირთა, რომელთაგან შემოსულია სამხედრო სამინისტროში შემოწირულებანი საქართველოს რესპუბლიკის დაჭრილ და მოკლულ ჯარისკაცთა და მათი ოჯახების და ობლების სასარგებლოთ. 1) „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის მიერ შემოწირული 4210 მ., 2) პეტრე პავლეს სასაფლაოს ეკლესიის სამრევლო საბჭოსაგან დეკანოზ ილია შუბლაძემ 1000 მ., 3) საბარგო და სავეჯო საწყობში სამხედრო სამინისტროსთან არსებულ მუშებმა და მოსამსახურეთა შორის ინჟინერმა ანდრონიკაშვილმა შემოიტანა 1084 მან., 4) ამაღლების ეკლესიის თანხიდან შემოწირული მღვდ. ა. თევზაძემ გადმოგვცა 250 მ., 5) იგივე მღვდელი ალექსი თევზაძისგან ხალხში შეგროვილი 208 მ., 45 კ., ენფიაჯიანცის ფაბრიკისგან 25000 ცალი პაპიროსი.

## გორის საქალაქო არჩევნები

სია გორის ქალაქის თვითმართველობის ხმოსნო კანდიდატებისა, წამოყენებული ს. ს. დ. მ. პ. გორის კომიტეტისაგან და დამტკიცებული სამაზრო სოც.-დემ. კომიტეტის მიერ.

1) კინწურაშვილი მიხეილ პავლეს ძე, 2) ახალაძე მიხეილ ბესარიონის ძე, 3) კაზერიძე მიხეილ სპირიდონის ძე, 4) ჯავახიშვილი ზაქარია გიორგის ძე, 5) ჯაფარიძე პარმენ ქველის ძე, 6) მინაზაროვი გიორგი ალექსის ძე, 7) გოგუა ვარლამ მიხეილის ძე, 8) ეფრემიძე პორფირე მერაბის ძე, 9) ჩუტკურაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე, 10) ტერსტეფანოვი აბგარ ტიგრანის ძე, 11) როსებაშვილი მიხეილ ივანეს ძე, 12) იასამანოვი გრიგოლ ზაქარიას ძე, 13) გაგუა რაჟდენ რომანის ძე, 14) არველაძე კირილე ივანეს ძე, 15) მელიქაძე დავით ისიდორეს ძე, 16) ცერცვაძე კონსტანტინე სამსონის ძე, 17) წერეთელი ივანე პლატონის ძე, 18) ღვინიაშვილი გიორგი ესტატეს ძე, 19) გოგიბედაშვილი მიხეილ იოსების ძე, 20) ზამბახიძე ლევარსი (გურული ვანო) 21) მურადოვი გიორგი ალექსის ძე, 22) ცხოვრებოვისა დარია ალექსანდრეს ასული, 23) ცერცვაძისა ალექსანდრა სპირიდონის ასული, 24) ჯანელიძე თევდორე, 25) კოროშინაძე ქიშვარდი, 26) გოძიევი პავლე ბესარიონის ძე, 27) ქერეჟაშვილისა ელენე ალექსის ასული 28) ბადრინოვი ნიკოლოზ, 29) ნასყიდაშვილი გიორგი გაბრიელის ძე, 30) სარაული ვასილი გრიგორის ძე, 31) ჯულელი ოლღა სიმონის ასული, 32) ვაჩეიშვილი მირიან რომანის ძე, 33) დობორჯგინიძე მელენტი საყვარელის ძე.

## ს.-დემ. პარტიაში

ს. რ. ს. რ. გზის თფილისის დეპოს ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება: ქვე-რაიონული კოლექტივის ხელმძღვანელობით იქნა მოწვეული ზემო მოხსენებული დეპოს მოსამსახურე მუშათა პარტიის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო საკმაო წევრები. კრებას თავმჯდომარეობდა ქვე-რაიონული კოლექტივის თავმჯდომარე გ. ქურული და მდივანი ა. თ—ვა. გასარჩევი იყო სამი კითხვა 1) ომი და ზავი საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკის შორის (მომხსენ. ამხ. ი. მანჯგალაძე), 2) მომავალი ქალაქის თვითმართველობის და დამფუძნებელი კრების არჩევნები და მისთვის საარჩევნო ფონდის გაძლიერება (მომ. ამ. გ. ქურული) და 3) საწევრო გადასახადი წარსული წლის და პარტიის წევრების მოვალეობა (მომ. ამ. ვ. ნინუა).

პირველ კითხვაზე ამხანაგმა მომხსენებელმა აღნიშნა ყველა მხარეები, თუ რით იყო გამოწვეული ომი საქართველო-სომხეთის შორის და ამით რა უნდოდა ჩვენი რესპუბლიკის მტრებს გაეკეთებინათ, მაგრამ საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ბოლო ბოლო ყოველივეს, დაჩქარებით სათანადო პასუხი გასცა მუხანათურათ დამცემ მტერს, რითაც შეეძლო არა თუ მარტო საქართველოს დემოკრატიის მტრები აელაგმა, არამედ —მთელ დემოკრატიის მტრებს მოუსპო საშუალება მათზე გაბატონების და მასთან რომ ნაციონალური შუღლი არ ჩამოვარდნილიყო ორ მეზობელ ერთა შორის, დააჩქარა შეეწყვიტა ძმათა სისხლის ღვრა, თან დიდებითი მოქმედება გამოიჩინა საგარეო პოლიტიკაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომ რესპუბლიკის სუვერენიული მხარეები ყოფილიყო დაცული.

კრებამ მოიწონა მთავრობის მოქმედება და დაადგინა: ვიდებთ რა მხედველობაში: 1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიმართა ყოველივე საშუალებას, რომ მეზობელ რესპუბლიკის შორის ყოველივე სადავო კითხვები გადაჭრილიყო მშვიდობიანი გზით, 2) მთავრობამ მიიღო ყოველივე ზომები, რომ მეზობელ ერთა შორის არ ჩამოვარდნილიყო ნაციონალური შუღლი და დააჩქარა ომის ლიკვიდაცია და 3) რომ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიული მხარეები დაცული ყოფილიყო, ამისთვისაც დიდებითი ზომები მიიღო, რაც ამტკიცებს მის საგარეო პოლიტიკის გამარჯვებას და გარანტიას იძლევა ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იცნონ დიდმა სახელმწიფოებმა. ამისთვის კრების შემადგენლობა სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს მთელი ძალღონით დახმარებას დემოკრატიული საქმეების ცხოვრებაში გასატარებლათ.

შემდეგ კრებამ ერთხმად აღუთქვა ჩვენს პარტიას მხურვალე მონაწილეობის მიღება არჩევნებში და შეძლების დაგვარათ ნივთიერი დახმარებაც. ა. თხილავა.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი: შეგროვილი ქალაქ გაგრაში წარსული წლის 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის სასარგებლოთ 3400 მანეთი გადავეცი სახალხო გვარდიის შტაბს თფილისში. აღნიშნული ფული შეგროვილი იყო გაგრის ქართულ ნაციონალურ საბჭოს ინიციატივით.

გაგრის ორგანიზაციისაგან ს. ს. დ. მ. პ. საპროცენტო გადასახადი 100 მანეთი, საარჩევნო ფონდი—500 მ. სულ—600 მ. გადავეცი. დანიშნულებისამებრ ცენტრალურ კომიტეტს.

ერმ. ბერძენიშვილი.

— —

5 დეკემბერს გურიაში მიწას მიაბარეს ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მარო ელიზბარის ასული მეგრელიძისა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო მის დასაფლავებას ვერ დავესწარით და ვერ გავინაწილეთ ქმრის და მშობლების მწუხარება, ამის გამო გაახლებთ 25 მან. გვარდიელთა ფონდის სასარგებლოთ.

გრიშა და საშა ჟღენტნი.

## ცნობები

ჯარისკაცი ივანე მერაბეს ძე სანაძე, რომელიც მსახურებდა 206 ახულგინის პოლკში, 2 როტაში 1 ვზვოდში და იყო კავკასიის ფრონტზე, აგერ 4 წელიწადია მისი არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცის, ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ქ. ხონი, ილარიონ ერისტოს ძე სანაძეს.

— —

ივსიხი ნიტიფოს ძე გაბეჩავა მსახურებდა მეორე სანაპირო მანგლისის რაზმში უნტერ აფიცრათ, სომხებთან შეტაკების შემდეგ მისი არაფერი ვიცით. ვთხოვთ ამხანაგებს ვინც რა იცის მის შესახებ გვაცნობოს ამ ადრესით: თფილისის დეპოში გრიგოლ იოსების ძე ჟღენტს.


## განცხადებანი

### ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სუმბატოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლოს).

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

### მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხანგრძლივ ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი

### რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი მედიცინის დოქტორის

### გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ხარჯლებს უფასოდ.

კბილის სამკურნალო კაბინეთები

თედორე სავარინის ძე ცხომელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი

### დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე სად. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალები საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი ლ. ი. ჯაფარიძე

შიიღებს შინაგანის, გულის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6½, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

### ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი

### კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

### გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა სასწავლებლისათვის. მსურველს (უცნოებს) ასწავლის ქართულ ენას. მისამართი: მილიუტინის ქუჩა, № 9, ბინა ეზოში 45. (3—2)

## სახელმწიფო თეატრი

ქართული ოპერა

დღეს, 29 იანვარს სახელმწიფო თეატრში გაიმართება მეორედ ქართულ ენაზე ოპერა

## —დ ე მ ო ნ ი—

ისევ იმ შემადგენლობით, როგორც პირველად იყო. მონაწილეობენ: ქ-ნნი შულგინისა, ხორინისა, ბ-ნნი სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, კურბატოვი და სხვანი. პიესას დასდგამს ალ. წუწუნავა. ზალცმანის ახალი დეკორაციებით და რჩეული ტანსაცმელებით.

ხუთშაბათს, 30 იანვარს ხორის ბენეფისი—„სნეგუროჩკა".

№ 21 კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის **სახალხო სახლი.** სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენ. მმართველი წრე.

ოთხშაბათს, 29 იანვარს 1919 წ. სახალხო სახლის სცენის მოყვარეთაგან ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## დ ღ ე ნ ი ჩ ვ ე ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა

პიესა ოთხ მოქმ. ანდრეევისა, თარგმ. ელიოზიშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ელო ანდრონიკაშვილი, არჯევანიძე, ნინონი, იანქოშვილი, ე. ჩერქეზიშვილისა; ბ. ბ. ბარველი, ა. ივერელი, ი. მინდიაშვილი, გ. მამაჯანოვი, ა. მეტრეველი, ი. რომანიშვილი, რატიშვილი, ს. ტარუაშვილი, ორჯონიკიძე, ნ. ჭანკვეტაძე, ბაქრაძე. რეჟისორი ივ. ბარველი.

ადგილების ფასი 2 მ. 50 კ.—50 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 10—12-მდე და საღამოს 5—8 საათამდე. დასაწყისი სად. 7 საათზე. შემდეგი წარმ. 1 თებერვალს. წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.

## მე-6 რაიონული კოლექტივი

ოთხშაბათს, 29 იანვარს, საღამოს 4 საათზე, სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (მე 4 სამ. უბანი. ექზარხოსის მოედანზე) დანიშნულია მე 4 სამილ. უბანში მცხოვრებ ს. ს. დ. მ. პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საგანგებო

## —საზოგადო კრება—

მოხსენებას გააკეთებენ ჩვენს საარჩევნო პლატფორმაზე რ. ჩიხლაძე და ი. ირემაშვილი. 2) მოხსენება ადგილობრივი საარჩევნო კომისიისა, არჩევნების ტექნიკურ მხარეზე და სხ. (2—2)

## მეოთხე რაიონული კოლექტივი

და 1, 2, 3 და 4—13 უბნების საარჩევნო კომისიები.

ოთხშაბათს, სად. 5 საათზე მეოთხე რაიონული კოლექტივის ბიუროს ბინაზე (ოლღას ქ., 29) დანიშნულია ამავე რაიონის წევრთა და თანამგრძნობთა მეორე

## —ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა—

დღის წესრიგი: 1) ჩვენი საარჩევნო პლატფორმა. მომხსენებლებათ მოწვეულნი არიან პარლამენტის წევრნი: ევგ. გეგეჭკორი და ივ. გომართელი. 2) მიმდინარე კითხვები. მოხსენებები გაკეთებული იქნება, როგორც ქართულ ისე რუსულ ენაზე. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა. (2—2)

## განცხადება

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორთავე სქესისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები, მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები: 1) სქესი მოსწავლისა, 2) მოსწავლეთა რაოდენობა და 3) რომელ კლასში სურს შესვლა. სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში.

მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეტანილი აქვთ მეორე ნახევარი სწავლის ფული და მით ისურვებენ ზემო აღნიშნულ გიმნაზიაში გადმოსვლას, ეს ფული უკან დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო. (10—3)


წიგნის-მბეჭდავთა სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.